ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 11 თებერვლის რიგგარეშე სხდომის

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 დეკემბრის N48 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 11 თებერვლის სხდომის

ოქმი N 4

დაბა ხარაგაული 2019 წლის 11 თებერვალი

9 აპრილის . #15

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - მანანა ბარბაქაძე,

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები : პაატა გოგოლაძე, დავით კიკნაძე, გივი თხელიძე, მალხაზ ფხალაძე, აკაკი ლურსმანაშვილი, ვარლამ ჭიპაშვილი, ოთარ ლურსმანაშვილი, მარინე ხვედელიძე, ეკატერინე შველიძე, იამზე პაქსაშვილი, ლენა აბაშიძე, ნონა ზურაბიანი, , შალვა ლურსმანაშვილი, პავლე კიკალიშვილი, იულონ კოპაძე, ნიკოლოზ მაღრაძე, გივი თავზარაშვილი, იუზა კელენჯერიძე გივი ხიჯაკაძე, ზურაბ ხაჩიძე, თეიმურაზ ფცქიალაძე, დავით მაღლაფერიძე, აკაკი მაჭავარიანი, ინგა მაღრაძე, ქეთევან ზუმბაძე, თორნიკე ავალიშვილი, მიხეილ ჭიპაშვილი სულ საკრებულოს 28 წევრი.

სხდომას ესწრებოდნენ:

მერიის წარმომადგენლები:

ვლადიმერ გელაშვილი - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

საკრებულოს აპარატის წარმომადგენლები:

ლენა კალანდაძე– საკრებულოს აპარატის უფროსი,

ზაალ ორბელაძე -საკრებულოს აპარატის იურისტი.

ნინო თხელიძე -საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

თ. მაღრაძე – ა.ა.ი.პ ,,მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ცენტრის" ჟურნალისტი,

მ. შათირიშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების თანამშრომელი,

ნ. კაპანაძე - გაზეთ „ ჩემი იმერეთის" ჟურნალისტი,

თ. ბერიძე - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი ,

მოისმინეს: საკრებულოს თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, რომელმაც საკრებულოს წევრებს წარუდგინა დღის წესრიგი და კენჭის ყრაზე დადგა დღის წესრიგის დამტკიცების საკითხი.

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 28 წევრი

მომხრე-28

წინააღმდეგი-0

დღის წესრიგი მიღებული იქნა (თან ერთვის).

დღის წესრიგი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 დეკემბრის N48 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

მოისმინეს:.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსის ვლადიმერ გელაშვილის ინფორმაცია საკითხზე – ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 დეკემბრის N48 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე (თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს:

თ. ავალიშვილმა, აღნიშნა, რომ 111 000 ლარი მონიტორინგის ჯგუფის მომსახურებისათვის და 43 000 ლარის ავტომანქანის შეძენისათვის უნდა ამოვიღოთ, ეს არის კორუფციის ბუდე, რომელიც შეგიქმნათ მთავრობამ, რაც შეეხება 43000 ლარს ეს თანხა სოციალურ პროგრამებში გადავიტანოთ.

ვ. ჭიპაშვილმა აღნიშნა, რომ საბიუჯეტო ცვლილება განხილული იქნა საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე, სხდომას ესწრებოდა მერის პირველი მოადგილე არჩილ მაღრაძე, აზრთა სხვადასხვაობა, გამოიწვია სკოლების მცირე რემონტებისათვის გამოყოფილმა თანხამ, მერის პირველმა მოადგილემ მოგვაწოდა ინფორმაცია, სკოლებისათვის გამოყოფილ მცირე რემონტის თანხებთან დაკავშირებით და , აღნიშნა, რომ საკიტხი განიხილება სკოლის ადმინისტრაციასთან ერთად. კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ 50000 ლარი მე-3 სკოლის რემონტისათვის არასაკმარისია მივიღეთ შეთანხმება მომზადდება ერთობლივი წერილი თანხის გაზრდასთან დაკავშირებით, ასევე სოფლის მხარდამჭერი პროექტების თანხის გაორმაგებასთან დაკავშირებით წევრების მხრიდან აღინიშნა კმაყოფილება თუმცა, შესრულებულ სამუშაოთა ხარისხის პრობლემებზე იყო შეკითხვები რაზეც ა. მაღრაძემ განმარტა, რომ ამ წუთშიც მოსულია მონიტორინგის ჯგუფი და ამოწმებენ მიმდინარე პროექტების ხარისხს, რაც შეეხება ავტომანქანის შეძენის საკითხს კომისიის არცერთ წევრს არ უთქვამს, რომ იყო მანქანის შეძენის აუცილებლობა.

დ. კიკნაძემ აღნიშნა, რომ კომისიამ იმსჯელა საჯარო სკოლების მცირე რემონტისათვის გამოყოფილ 200 000 ლარზე , კომისიის წევრის მ. ხვედელიძის მიერ აღინიშნა და კომისიის წევრთა პოზიციაც არის, რომ თანხა რომელიც გათვალისწინებულია მე-3 სკოლაზე არასაკმარისია და ამ თანხით პრობლემები ვერ აღმოიფხვრება ამიტომ ისე, როგორც კიცხის შემთხვევაში მოვამზადებთ წერილს შესაბამის უწყებაში გადასაგზავნად რაც შეეხება წიფის საყრდენ კედელთან დაკავშირებით ცალკე შეხვედრაზე გვექნება მსჯელობა მართლაც გამოყოფილი თანხა მიზერულია.მან ასევე ყურადღება გაამახვილა სასკოლო ტრანსპორტთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ტექდათვალიერებას ალბათ არსებული ბაზის 80% ვერ გაივლის, რაც შეეხება კულტურის ა.ა.ი.პ- თვის 55000 ლარის გამოყოფას, როგორც ხარაგაულელი ამას

მხარს დაუჭერ თუმცა საკითხი ა.ა.ი.პ. -ხელმძღვანელმა კი არ უნდა გადაწყვიტოს და მერე ითხოვოს დახმარება უნდა დაემორჩილოს კანონს.

თ. ფცქიალაძემ აღნიშნა, რომ ეთანხმება კოლეგების აზრს იმასთან დაკავშირებით, რომ ავტომანქანის შესაძენად გათვალისწინებული 43 000 ლარი გადატანილი იქნეს სოციალურ დახმარებაში.

ნ. მაღრაძემ აღნიშნა, რომ სოფელ მარელისში დაწყებით სკოლას არ აქვს ღობე სკოლის წინ გადის ასფალტის გზა გადის ინტენსიურად მოძრაობს ტრანსპორტი ალბათ ღმერთი გვიფარავს, რომ ტრაგედია არ ხდება, ღობის გაკეთება აუცილებელია, მსხვერპლი არ მივიღოთ.

ი. მაღრაძემ აღნიშნა, რომ მარელისის სკოლის პრობლემის მოგვარებას ა. მაღრაძე ადგილობრივი ბიჯეტიდან დაგვპირდა.

მ. ჭიპაშვილმა აღნიშნა, რომ თუ იქნება დასაბუთება რამდენი ლარის ეკონომიას მოგვიტანს ახალი ავტომანქანის შეძენა შეიძლება დაგიჭიროთ მხარი.

ი. მაღრაძემ აღნიშნა, რომ დაანონსებული დეცენტრალიზაციის ნაცვლად მთავრობა გვკარნახობს რაში დავხარჯოთ თვითმმართველობამ ფული, რაც შეეხება მონიტორინგის ჯგუფს გასული წლის მმსახურება უნდა მივცეთ მე პირადად მიჭირს მხარდაჭერა, ხომ არ შეგვესწავლა რა შედეგი მივიღეთ ამ ხარჯით, ასევე კულტურის ა.ა.ი.პ დაფინანსება 5500 ლარით, მსახიობის ხელფასისათვის დეკემბერში დავამტკიცეთ ბიუჯეტი და ა.ა.ი.პ ხელმძღვანელმა არ იცის მსახიობის საჭიროება და წლის დასაწყისში გაახსენდა?. წიფის საყრდენ კედელთან დაკავშირებით კოლეგების აზრს ვეთანხმები.

საკითხზე აზრის გამოხატვის დასრულების შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ რეპლიკის სახით აღნიშნა, რომ ი. მაღრაძეს მინდა მივმართო, რომ მთავრობა არ გვკარნახობს რაში გამოვიყენოთ ფული ავტომანქანისათვის 43 000 ლარი მთავრობას არ გამოუყვია მე მირჩევნია ეს თანხა მარელისის მზაობის ჯგუფის გასარემონტებლად გამოვიყენოთ და გავარემონტოთ საკრებულოს კომისიების სამუშაო ოთახი.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს შესთავაზა წინადადება წარმოდგენილი საბიუჯეტო ცვლილების მუხლობრივად კენჭის ყრის თაობაზე

კენჭის ყრაზე დადგა საკითხი

- სახელმწიფო ფონდებით გამოყოფილი სახსრების ნაშთიდან 43 005 ლარიდან

გზების რეაბილიტაციის ხარჯებში მიმართული იქნეს - 10 943 ლარი (მოხრეშვა, გასწორხაზოვნება) და ხიდების, ბოგირების აშენება, შეკეთების არაფინანსური აქტივების ზრდის ხარჯებში 490 ლარი. აღებულ ვალდებულებებზე გზების რეაბილიტაციის არაფინანსური აქტივების ხარჯებში 2,5 % -ის დასაფარავად 2530 ლარი. სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებზე აღებულ ვალდებულებებზე 29 532 ლარი, მათ შორის: გზების რეაბილიტაციაზე 26 532 ლარი (არაფინანსური აქტივების ზრდაზე 14 000 ლარი და გასწორხაზოვნებაზე 12 532 ლარი); ხიდების რეაბილიტაციაზე 3 000 ლარი;

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 27 წევრი

მომხრე 27

წინააღმდეგი 0

კენჭის ყრაზე დადგა საკითხი

- მუნიციპალიტეტის საკუთარი საბიუჯეტო სახსრების ნაშთიდან 2019 წლის გადასახდელებში მიიმართოს 419 500 ლარი, აქედან:

გზების რეაბილიტაციის ხარჯებში არაფინანსური აქტივების ზრდაზე წინა წლებში აღებული ვალდებულებების თანადაფინანსების საგარანტიო თანხის 2,5 % -ისა და 2019 წლში გამოყოფილი თანხების მონიტორინგის ჯგუფის ანაზღაურებისათვის - 289 700 ლარი.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 27 წევრი

მომხრე 27

წინააღმდეგი 0

ხიდების, ბოგირების აშენება, შეკეთების ხარჯებში არაფინანსური აქტივების ზრდაზე - 7 300 ლარი.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 27 წევრი

მომხრე 23

წინააღმდეგი 3

თავი შეიკავა 1

კენჭის ყრაზე დადგა საკითხი

სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ხარჯებში 64 000 ლარი (მოლითის თემის სოფელ ანეულაში ახალი სარიტუალო დარბაზის ასაშენებლად 60.0 ათ. ლარი და 4,0 ათ. ლარი უკვე დასრულებული სარიტუალო სახლების ელექტროკვანძზე დასაერთებლად)

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 27 წევრი

მომხრე 27

წინააღმდეგი 0

კენჭის ყრაზე დადგა საკითხი

მაღალი გამავლობის მსუბუქი ავტომობილის შესაძენად 43 000 ლარის გამოყოფის თაობაზე.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 27 წევრი

მომხრე 0

წინააღმდეგი 27

კენჭის ყრაზე დადგა საკითხი

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის N 657 დადგენილებით სსიპ-საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის მიერ საქმისწარმოების ავტომატიზირებული სისტემის მომსახურეობისათვის 10 00 ლარის აქედან, მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხარჯებში 1 200 ლარის და მუნიციპალიტეტის მერიის ხარჯებში 8 800 ლარის გათვალისწინების თაობაზე.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 27 წევრი

მომხრე 27

წინააღმდეგი 0

განმეორებით კენჭისყრაზე დადგა საკითხი ა(ა)იპ კულტურის ცენტრის სუბსიდიაში 5 500 ლარი ლარი სახალხო თეატრის ერთი ერთეული მსახიობის შტატის დამატების გამო შრომის ანაზღაურებისათვის გამოყოფის თაობაზე.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 27 წევრი

მომხრე 18

წინააღმდეგი 3

თავი შეკავა 6

კენჭის ყრაზე დადგა საკითხი

გაიზარდოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსულობები 11 395 800 ლარი 738 743 ლარით და განისაზღვროს 12 134 543 ლარით. შემოსულობების ზრდის წყაროდ გამოყენებული იქნეს სახელმწიფო ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერი 738 743 ლარი.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 27 წევრი

მომხრე 27

წინააღმდეგი 0

კენჭის ყრაზე დადგა საკითხი

- გაიზარდოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის გადასახდელები 15 358 766 ლარი 1 201 248 ლარით და განისაზღვროს 16 560 014 ლარით;

გადასახდელების ზრდის წყაროდ გამოყენებული იქნეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი 630 000 ლარი და 2019 წლის პირველი იანვრისათვის არსებული სახსრების ნაშთი 462 505 ლარი, მ. შ. სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ნაშთი 43 005 ლარი და საკუთარი სახსრების ნაშთი 419 500 ლარი.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 27 წევრი

მომხრე 25

წინააღმდეგი 2

ამით საკრებულოს განსახილველი საკითხი ამოიწურა და სხდომა დამთავრებულად გამოცხადდა.

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე